

საქართველოს სახელით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის

გადაწყვეტილება №3/9/1818,1861

2025 წლის 25 ივლისი

ქ. ბათუმი

პლენუმის შემადგენლობა:

რევაზ ნადარაია – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

ირინე იმერლიშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი;

მანანა კობახიძე – წევრი;

ვასილ როინიშვილი – წევრი;

თეიმურაზ ტულუმი – წევრი.

სხდომის მდივანი: დარეჯან ჩალიგავა.

საქმის დასახელება: ზესტაფონის რაიონული სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობის თაობაზე.

დავის საგანი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის პირველ მაისს კონსტიტუციური წარდგინებით (რეგისტრაციის №1818) მომართა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ზურაბ ბალავაძე). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის პირველ მაისს კონსტიტუციური წარდგინებით (რეგისტრაციის №1861) მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლომ (მოსამართლე – ნათია ბარბაქაძე). №1818 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, გადმოეცა 2024 წლის 6 მაისს, ხოლო №1861 კონსტიტუციური წარდგინება – 2025 წლის 2 მაისს. №1818 კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2024 წლის 12 ივლისს, ხოლო №1861 კონსტიტუციურ წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2025 წლის 24 ივნისს. №1818 და №1861 კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 12 ივლისის №3/2/1818 და 2025 წლის 24 ივნისის №3/5/1861 საოქმო ჩანაწერებით მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 24 ივნისის №3/5/1861 საოქმო



ჩანაწერით, დასახელებული ორი კონსტიტუციური წარდგინება გაერთიანდა ერთ საქმედ.

2. №1818 და №1861 კონსტიტუციურ წარდგინებებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს“.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლებას.

5. №1818 კონსტიტუციური წარდგინებიდან ირკვევა, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლო განიხილავდა საქმეს, რომელშიც პირს წარედგინა ბრალდება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ. ამავდროულად, დგინდება, რომ ბრალდებული არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ორასი საათიდან ოთხას საათამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთას, ვადით, ერთიდან სამ წლამდე. ვინაიდან სადავოდ გამხდარი ნორმა ბლანკეტურად კრძალავს პირველი და მეორე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას, ზემოთ ხსენებული ბრალდების ფარგლებში, შესაძლო სასჯელის ერთადერთ სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა რჩება.

6. №1861 კონსტიტუციური წარდგინებიდან ირკვევა, რომ მცხეთის რაიონულმა პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა საჩივარი მცხეთის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 29 მაისის განაჩენთან დაკავშირებით, რომლითაც პირი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში) და 126¹ მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ სისტემური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც გამოიწვია ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი) წარდგენილ ბრალდებებში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ საჩივარში მოთხოვნილია პირის მიმართ წარდგენილ ბრალდებებში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. როგორც წარდგინებაშია მითითებული, ზემოაღნიშნული პირი არის ქალი, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი.

7. №1818 კონსტიტუციური წარდგინების თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ჩადის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს და არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, სასჯელის დანიშვნისას, გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი-შემამსუბუქებელი გარემოებები და, შესაბამისად, სასჯელის სახედ გამოიყენოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რაც შეუძლებელია პირველი და მეორე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით. ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მოსამართლე იძულებულია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, უპირობოდ, სასჯელის სახედ განუსაზღვროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, სადავო ნორმა გამორიცხავს, ინდივიდუალიზაციის პრინციპის საფუძველზე, სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებულს, სხვა (შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე) ბრალდებულთან შედარებით, აკისრებს უფრო მძიმე ტვირთს. №1818 კონსტიტუციური წარდგინების ავტორის განმარტებით, სადავო ნორმა, რომლის თავდაპირველი



მიზანი შესაძლოა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების დაცვა იყო, მოცემულ შემთხვევაში, უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სხვა (შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე) ბრალდებულ პირებს. შესაბამისად, აუარესებს კონკრეტული ჯგუფის სამართლებრივ მდგომარეობას და არ ემსახურება კანონის თავდაპირველ მიზანს.

8. №1861 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სასჯელის სახით, ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელ სამუშაოს, ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას, ვადით სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ, ხოლო ამავე კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილი, სასჯელის სახით, ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ვადით, ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას, ვადით, ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. ამავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ჯარიმა ძირითად სასჯელად არ შეიძლება დაინიშნოს ამ კოდექსის 126¹ მუხლით გათვალისწინებული, ოჯახში ძალადობის ან ამავე კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური წარდგინების ავტორის მითითებით, თუკი სააპელაციო სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი წარდგენილ ბრალდებებში, სასამართლოს სასჯელის ერთადერთ სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება რჩება.

9. №1861 კონსტიტუციური წარდგინების თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ჩადის ოჯახში ძალადობას ან სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებულ ოჯახურ დანაშაულს და არ არის ქალი, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი/შემამსუბუქებელი გარემოებები და, შესაბამისად, სასჯელის სახედ გამოიყენოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რაც გასაჩივრებული ნორმიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმ ქალებთან მიმართებით, რომლებსაც ჰყავთ შვიდ წლამდე ასაკის შვილი. შედეგად, რიც დანაშაულებთან მიმართებით, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მოსამართლე იძულებულია, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი, უპირობოდ, სასჯელის სახედ განუსაზღვროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, სადავო ნორმა გამორიცხავს ინდივიდუალიზებული სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას. წარდგინების ავტორი შესადარებელ პირებად გამოყოფს, ერთი მხრივ, ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალს, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე ასაკის შვილი, ხოლო, მეორე მხრივ, ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალს შვილის გარეშე ან 7 წელზე მეტი ასაკის შვილით ან/და კაცებს. წარდგინების ავტორის განმარტებით, ზემოაღნიშნული პირები წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს, თუმცა სადავო ნორმა ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი, უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე სხვა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს.

10. №1861 კონსტიტუციური წარდგინების ავტორის არგუმენტაციით, სადავო ნორმა, რომლის თავდაპირველი მიზანიც შესაძლოა იმ ქალთა ინტერესების დაცვა იყო, რომლებსაც ჰყავთ შვიდ წლამდე ასაკის შვილი, მოცემულ შემთხვევაში, პირიქით, აუარესებს მათ სამართლებრივ მდგომარეობას და უთანასწოროდ ეპყრობა ამგვარ პირებს სხვა ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებთან მიმართებით. შესაბამისად, სადავო ნორმა არ ემსახურება კანონის თავდაპირველ მიზანს და მეტიც, უფრო მძიმე ტვირთს აკისრებს ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, №1818 და №1861 კონსტიტუციური წარდგინებების ავტორები მიიჩნევენ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის (2025 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად კრძალავს, სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების შესაძლებლობას, ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ქალების მიმართ, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ თანასწორობის უფლებას.

12. №1818 და №1861 კონსტიტუციური წარდგინებების ავტორები, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, მიუთითებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასა და



II

სამოტივაციო ნაწილი

1. სადავო ნორმის ძალადაკარგულობა

1. №1818 და №1861 კონსტიტუციური წარდგინებების არსებითად განსახილველად მიღების შემდგომ, სადავო ნორმა ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. კერძოდ, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2025 წლის 26 ივნისის №841-III-XI მპ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, 2025 წლის 3 ივლისიდან, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილი. სადავო ნორმის ცვლილებამდელი რედაქციით დადგენილი იყო, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნებოდა პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს. ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად, სადავო ნორმაში ტერმინი „პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს“ შეიცვალა ტერმინით „მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს“. ამავდროულად, სადავო ნორმაში შევიდა სხვა ტექნიკური ცვლილებები, კერძოდ, ამოღებულ იქნა სიტყვა „აგრეთვე“ და სიტყვა „შვიდ“ ჩანაცვლდა ციფრით „7“.

2. დავის საგნის სწორად იდენტიფიცირების მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, შეაფასოს, რა გავლენა მოახდინა განხორციელებულმა ცვლილებებმა სადავო ნორმის კონსტიტუციური წარდგინებებით გასაჩივრებულ შინაარსზე.

3. №1818 წარდგინების ავტორი არაკონსტიტუციურად მიიჩნევს შშმ პირისათვის, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების აკრძალვას, ხოლო №1861 კონსტიტუციური წარდგინების ავტორი მიუთითებს იმ ქალის მიმართ, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შეუძლებლობის დისკრიმინაციულობაზე, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი.

4. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ნორმაში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებები, რომლებიც გამოიხატა კონკრეტული ტერმინების განსხვავებულად ჩამოყალიბებაში, შინაარსობრივად, არ ცვლის წარდგინებების ავტორთა მიერ სადავოდ გამხდარ მოწესრიგებას და ახლად ჩამოყალიბებული ნორმა არსებითად იმეორებს ძველი რედაქციის შინაარსს, კერძოდ, განხორციელებულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია გასაჩივრებული რეგულირების იმ შინაარსზე, რომელიც კრძალავს შშმ პირისა და იმ ქალის მიმართ, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების გამოყენებას და, ამ მხრივ, სადავო შეზღუდვა კვლავ სადავო ნორმის ძველი რედაქციის იდენტურად აგრძელებს მოქმედებას. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება ტერმინ „ინვალიდის“ ნაცვლად იყენებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის“ ცნებას, რაც, დროის ამ პერიოდამდეც, საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენდა და არ ასახავდა საერთო მიდგომას ტერმინ „ინვალიდის“ შესაძლო ნეგატიურ კონოტაციასა და, ამ მოტივით, მისი გამოყენების არამართებულობასთან დაკავშირებით. ამდენად, საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ, სადავო ნორმას, შინაარსობრივად, უფლების დაცვის თვალსაზრისით, რაიმე არსებითი მოდიფიცირება არ განუცდია და მოქმედ რედაქციაში კვლავაც არსებობს უფლების შესაძლო დარღვევის ანალოგიური რისკი.

5. აღსანიშნავია, რომ, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში არ არსებობს დებულება, რომელიც გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას, გააგრძელოს სამართალწარმოება და იმსჯელოს ცვლილებების შემდეგ ჩამოყალიბებულ ნორმაზე, თუკი არსებობს, თავდაპირველად, კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრაციის მომენტისათვის მოქმედი, თუმცა მოგვიანებით ძალადაკარგული სადავო ნორმის არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმა, ხოლო გასაჩივრებული მოწესრიგება მოქმედებს იმავე ნორმატიული შინაარსით, რა შინაარსითაც სადავო იყო მისი კონსტიტუციურობა. ამასთანავე, გასაჩივრებულ დებულებაში განხორციელებული არაარსებითი ცვლილების შემთხვევაში, სადავო ნორმის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობის შეფასება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის ხელოვნური გაჭიანურების პრევენციას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის



№1/3/697 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-12).

6. იმავდროულად, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობისა და ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმს ადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე, იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და მისი საფუძვლიანი ვარაუდით, შეიმღება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, რომელიც საშუალებას აძლევს საერთო სასამართლოებს, თავიდან აიცილონ სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენება. ამასთან, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა კონსტიტუციურ ღირებულებებს პრაქტიკულ და რეალურ ძალას სძენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და წარმოადგენს საერთო სასამართლოების საქმიანობაში კონსტიტუციის მოთხოვნების გათვალისწინებისა და დაცვის უზრუნველყოფის ეფექტიან მექანიზმს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის №3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-11).

7. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური წარდგინება ემსახურება მიმდინარე საქმეზე შესაძლო არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენებისა და ამგვარ ნორმაზე დაყრდნობით, საქმეების გადაწყვეტის შედეგად, მათ შორის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის პრევენციას. მოცემულ შემთხვევაში, არც წარდგინების ინსტრუმენტის ბუნების გათვალისწინებით არ იკვეთება რაიმე ინტერესი, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს დააყენებდა საჭიროების წინაშე, საკონსტიტუციო სამართალწარმოება ძალადაკარგულ სადავო ნორმასთან მიმართებით გაეგრძელებინა და გადაეწყვიტა მისი კონსტიტუციურობის საკითხი. უფრო კონკრეტულად, სადავო ნორმის ძალადაკარგული რედაქციის არაკონსტიტუციურად ცნობა ვერც საერთო სასამართლოში მიმდინარე საქმეების ფარგლებში (რომლებზეც კონსტიტუციური წარდგინებებით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის მომენტიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე სამართალწარმოება შეჩერებულია) და ვერც მომავალში, ხსენებული ნორმატიული შინაარსის გამოყენების პრევენციის კონტექსტში, ვერ შექმნის უფლებებისა და თავისუფლებების უკეთესი დაცვისა და კონსტიტუციის უზენაესობის განმტკიცების ეფექტიან მექანიზმს. იმავდროულად, როგორც სადავო ნორმის ანალიზით დგინდება, მასში განხორციელებულმა ცვლილებებმა, ტერმინოლოგიური კუთხით, განსხვავებული განსაზღვრებები/მოცემულობები გააჩინა სადავო მოწესრიგებაში, თუმცა კონსტიტუციური წარდგინებების ავტორთა მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემა არ შეცვლილა.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, №1818 და №1861 კონსტიტუციური წარდგინებების ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობას.

2. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო

9. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.

10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი ახდენს არა მხოლოდ თანასწორობის ძირითადი უფლების რეგლამენტირებას, არამედ წარმოადგენს თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს, „რომელიც, ზოგადად, გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე



თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის ძირითადი არსი და მიზანი არის ანალოგიურ, მსგავს, საგნობრივად თანასწორ გარემოებებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოეპყროს ერთნაირად, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-68; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში ... დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს – არსებითად თანასწორებს მოეპყროს თანასწორად და პირიქით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, თანასწორობის კონსტიტუციური უფლების მიზანს არ წარმოადგენს პირთა აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა ან/და მათი ხელოვნური, მექანიკური გათანაბრება. თანასწორობის უფლება მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს სუბიექტთა მიმართ თანაბარი მოპყრობა, რაც შედარებადი პირების მიმართ ერთნაირი მოთხოვნების დაწესებაში, თანაბარი შესაძლებლობების შექმნის ვალდებულებაში გამოიხატება (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის №2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). მაშასადამე, აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპის ზოგადი დატვირთვა ვლინდება სახელმწიფოს ვალდებულებაში, რომ თანასწორი სუბიექტები ერთმანეთისაგან არ განასხვავოს და ფორმალურად არ დაუდგინოს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი, არ დააკისროს მათ არათანაბარი სამართლებრივი ტვირთი (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის №2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

14. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით დადგენილი მოთხოვნები იზღუდება, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმა არსებითად თანასწორ პირებს ანიჭებს განსხვავებულ შესაძლებლობებს, აღჭურავს განსხვავებული უფლებებით (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

3. სადავო ნორმის შინაარსი და შესაფასებელი მოცემულობა



15. №1818 და №1861 კონსტიტუციური წარდგინებების ფარგლებში, წარდგინებების ავტორები ითხოვენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს“.

16. №1818 კონსტიტუციური წარდგინების ავტორის განმარტებით, სადავო ნორმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში, შშმ) პირების მიმართ ადგენს განსხვავებულ, უარეს სამართლებრივ რეჟიმს სხვა, ხსენებული სტატუსის არმქონე პირებთან შედარებით. №1861 კონსტიტუციური წარდგინების ფარგლებში კი, წარდგინების ავტორი დაობს სადავო ნორმის საფუძველზე იმ ქალების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი. კერძოდ, წარდგინებების ავტორთა განმარტებით, იმის გამო, რომ სადავო ნორმის საფუძველზე, გამოირიცხება შშმ პირის სტატუსისა და იმ ქალების მიმართ, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი, სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება, რიგ დანაშაულებთან მიმართებით, მოსამართლეს უწევს, პირს, დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, შეუფარდოს სასჯელის უფრო მძიმე ფორმა თავისუფლების აღკვეთის სახით.

17. ამ კუთხით, გასათვალისწინებელია, რომ საქმეები, რომელთა ფარგლებშიც მოსამართლეებმა წარდგინებით მომართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, შეეხება შშმ სტატუსის მქონე პირთა და 7 წლამდე ასაკის ბავშვის მშობლისათვის სადავო ნორმით სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის აკრძალვის გამო, სასჯელთა შორის ყველაზე უმკაცრესი სახის, თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პრობლემურობას. სწორედ ამ შემთხვევის ირგვლივ ავითარებენ მსჯელობას №1818 და №1861 კონსტიტუციური წარდგინებების ავტორები და ასაბუთებენ სადავო ნორმის დისკრიმინაციულობას. იმავდროულად, სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დაკისრების აკრძალვის გამო, თავისუფლების აღკვეთის მიღმა, სასჯელთა სხვა სახეების გამოყენებით, წარდგინების ავტორთა მიერ იდენტიფიცირებული პირთა წრის უარეს სამართლებრივ რეჟიმში მოქცევის წარმოსაჩენად, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებს შესაბამისი არგუმენტაციის წარმოდგენა მოეთხოვებათ. აღნიშნული კი, კონსტიტუციურ წარდგინებებში არ არის დასაბუთებული. უფრო მეტიც, №1861 კონსტიტუციური წარდგინების ავტორი აღნიშნავს, რომ სადავო ნორმამ შესაძლოა, არ შექმნას პრობლემა თავისუფლების აღკვეთის მიღმა სხვა სასჯელის, (მაგალითად, ჯარიმის), გამოყენების შესაძლებლობის შემთხვევაში (იხ., №1861 კონსტიტუციური წარდგინება, გვ. 9). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი წარდგინებების ფარგლებში შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენს, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებთან და იმ ქალებთან მიმართებით, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის აკრძალვით, ერთადერთ ალტერნატივად მოსამართლის მიერ თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესაძლო დისკრიმინაციულობის შემოწმება.

18. როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული თანასწორობის უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებისათვის უნდა გამოირკვეს, ადგენს თუ არა სადავო ნორმა შესაძარბებელ სუბიექტებს შორის განსხვავებულ მოპყრობას. ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭიროა, გამოიკვეთოს შესაძარბებელი სუბიექტები, კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან მიმართებით დადგინდეს შესაძარბებელ პირთა არსებითად თანასწორობა, ისევე, როგორც არსებითად თანასწორ პირებთან მიმართებით დიფერენცირებული მოპყრობის ფაქტი. №1818 და №1861 კონსტიტუციური წარდგინებებით, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა მოთხოვნილია პირთა ორი განსხვავებული წრის დისკრიმინაციის კონტექსტში. სწორედ ამიტომ, სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლების ფარგლებში, განსხვავებული მოპყრობის ფაქტსა და შესაძლო დიფერენცირების დისკრიმინაციულობაზე, საკონსტიტუციო სასამართლო, შესაბამის ქვეთავებში, ცალ-ცალკე იმსჯელებს.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შეზღუდვის იდენტიფიცირება

4.1. მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ დიფერენცირებული მოპყრობის იდენტიფიცირება



19. №1818 კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებულია, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია საქმე, რომლის ფარგლებშიც, შშმ პირს ბრალად ედება სსკ-ის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სსკ-ის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. კონსტიტუციური წარდგინების ავტორის განმარტებით, იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენისათვის სასჯელის მხოლოდ ორ ალტერნატივას – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომასა და თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, სადავო ნორმის საფუძველზე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება შშმ პირების მიმართ ბლანკეტურად არის აკრძალული, პირთა ამ კატეგორიის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, მოსამართლე იძულებული ხდება, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის უგულვებელყოფით, უალტერნატივოდ განუსაზღვროს მათ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდით.

20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის საფუძველზე, დიფერენცირების არსებობის დასაბუთებისათვის, პირველ რიგში, უნდა გამოიკვეთოს პირთა ორი წრე, რომელთა მიმართ დგინდება განსხვავებული უფლებრივი რეჟიმი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის №2/3/663 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-9). №1818 კონსტიტუციური წარდგინების ფარგლებში, როგორც აღინიშნა, სადავოა ის ნორმა, რომელიც მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ გამორიცხავს სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდებას. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, შესაძარებელ პირებს წარმოადგენს, ერთი მხრივ, პირები, რომლებიც არიან მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მეორე მხრივ კი, ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. კერძოდ, სადავო ნორმის მოქმედების პირობებში იზღუდება მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების მიმართ, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება, რომელთა შესაძლებლობასთანაც, ზოგიერთ, არაიშვიათ შემთხვევაში, შეიძლება სრულად იყოს თავსებადი ამგვარი ღონისძიების გამოყენება, მაშინ, როდესაც იმ ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მიმართებით, რომლებიც არიან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დასაშვებია, სასჯელის სახით, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შეფარდება.

21. გასაჩივრებული რეგულაცია, ცხადია, რომ მისით მოწესრიგებული ურთიერთობის ფარგლებში, განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს ქმნის, ერთი მხრივ, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ზომიერად გამოხატული შშმ პირებისთვის. კერძოდ, გასაჩივრებული წესი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ცალსახად და უალტერნატივოდ, გამორიცხავს სასჯელის კონკრეტული სახის – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების შესაძლებლობას მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მიმართებით. მაშასადამე, ნათელია, რომ სადავო რეგულირების მოქმედების პირობებში, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების კონტექსტში, განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის ქვეშ ექცევიან, ერთი მხრივ, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი, ხოლო, მეორე მხრივ, ზომიერად გამოხატული შშმ პირი.

22. ამასთანავე, სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებისას, დიფერენცირების არსებობასთან ერთად, აუცილებელია, დადგინდეს, რამდენად წარმოადგენენ შესაძარებელი ჯგუფები არსებითად თანასწორ სუბიექტებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბერუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-17).



23. როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში, შესაძარებელ პირებს წარმოადგენენ მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ ბრალდებულები/მსჯავრდებულები და ზომიერად გამოხატული შშმ ბრალდებულები/მსჯავრდებულები, რომლებთან მიმართებითაც, მოსამართლე უფლებამოსილია, სასჯელის სახით, გამოიყენოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, პირთა არსებითად თანასწორობა უნდა შეფასდეს, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების შესაძლებლობის მიმართ, ინტერესის არსებობის კონტექსტში.

24. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით განისაზღვრება სასჯელის სახეები, რომლებიც შესაძლოა, სასამართლომ დანიშნოს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ, აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სასჯელის სახედ დადგენილია: ა) ჯარიმა; ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; დ) გამასწორებელი სამუშაო; ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა; ვ) შინაპატიმრობა; ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა; თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა; ი) ქონების ჩამორთმევა; კ) იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა; ლ) სამხედრო წოდების ჩამორთმევა. იმავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქონების ჩამორთმევა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა და სამხედრო წოდების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად. მაშასადამე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, სისხლის სამართლის კანონმდებლობით, აღიარებულია სასჯელის ერთ-ერთ დამოუკიდებელ სახედ, რომელიც, სასჯელის სხვა ფორმებთან ერთად, წარმოადგენს სასამართლოსათვის ხელმისაწვდომ საშუალებას, კონკრეტული დანაშაულის საპასუხოდ.

25. საქართველოს სისხლის სამართლის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანო – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო. „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად კი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ სასამართლო განაჩენის ასლის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების ასლის აღსასრულებლად მიღების შემდეგ პრობაციის ბიურო მსჯავრდებულს განუსაზღვრავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახესა და ყოველდღიურ ხანგრძლივობას. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელი აღსრულდება საჯარო დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესასრულებელი სამუშაოს საზოგადოებისთვის სასარგებლო ხასიათიდან გამომდინარე, სასჯელი შეიძლება აღსრულდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირში. მაშასადამე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გულისხმობს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის კონკრეტულ სახესაც დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო განსაზღვრავს.

26. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, ზემოხსენებული სასჯელის მოხდის კონტექსტში, რამდენად წარმოადგენს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი ზომიერად გამოხატული შშმ პირის არსებითად თანასწორ სუბიექტს. ამ მიზნით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პირველ რიგში, მნიშვნელოვნად მიიჩნევს შშმ პირის სტატუსის მინიჭების საფუძველების/წინაპირობების ანალიზს და იმის გამორკვევას, რამდენად უნარიანი არიან დასახელებული პირები, შეასრულონ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ფარგლებში განსაზღვრული ესა თუ ის სამუშაო.

27. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შშმ პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ამავედროულად, მოქმედი კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განასხვავებს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის 3 ჯგუფს. კერძოდ, „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ზ ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს - მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის



სტატუსის დადგენის შესაძლებლობას. იმავდროულად, ის, თუ რომელი ზემოაღნიშნული სტატუსის მატარებელია პირი, დამოკიდებულია ქმედობაუნარიანობის ძირითადი კატეგორიების შეზღუდვის ხარისხზე. კერძოდ, ამავე ინსტრუქციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქმედობაუნარიანობის ძირითად კატეგორიებს განეკუთვნება: ა) თვითმომსახურების უნარი (ადამიანის მიერ ძირითადი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საქმიანობის და პირადი ჰიგიენის ჩვევების შესრულების უნარი); ბ) გადაადგილების უნარი (სივრცეში დამოუკიდებლად გადაადგილების, მექანიკური წინააღმდეგობების გადალახვის, საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი და პროფესიული საქმიანობის ფარგლებში სხეულის წონასწორობის შენარჩუნების უნარი); გ) სწავლის უნარი (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და ა.შ. ცოდნის მიღების, სოციალური, კულტურული და საყოფაცხოვრებო ჩვევების ათვისების უნარი); დ) შრომითი საქმიანობის უნარი (სამუშაოს ხასიათის, მოცულობისა და პირობების მოთხოვნების შესაბამისად სამუშაოს შესრულების უნარი); ე) ორიენტაციის უნარი (დროში და გარემო-სივრცეში გარკვევის, გარემოდან ისეთი სიგნალების მიღების, როგორცაა დანახვა, მოსმენა, შეხება, მეტყველება, ყნოსვა და ამ სიგნალების ასიმილაციის მეშვეობით საპასუხო რეაქციის გამოხატვის უნარი); ვ) ურთიერთობის უნარი (ინფორმაციის მიღების, აღქმის, ანალიზისა და გადაცემის გზით ადამიანებთან კონტაქტის დამყარების უნარი); ზ) თვითკონტროლის უნარი (სოციალურ-სამართლებრივი ნორმების ფარგლებში ქცევის და თავის მოქმედებაზე კონტროლის უნარი). სწორედ ქმედობაუნარიანობის ზემოაღნიშნული კატეგორიების შეზღუდვის ხარისხი განსაზღვრავს შშმ პირის სტატუსს. იმავდროულად, დასახელებული ქმედობაუნარიანობის ძირითადი კატეგორიებიდან რომელიმეს შეზღუდვა საკმარისია მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის პირისადმი მიკუთვნებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული სტატუსები, შესაძლოა, სრულადაც არ უკავშირდებოდეს პირის შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვას, არ იყოს მისით განპირობებული. ზომიერად გამოხატული შშმ პირის სტატუსის მინიჭება კი, ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, უკავშირდება ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის რომელიმე კატეგორიის შერწყმას პირველი ხარისხის შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვასთან, გარდა მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული დაავადებებისა და დეფექტებისა. ხაზგასასმელია ისიც, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ შშმ პირის სტატუსის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვა, ხსენებული ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი გამოყოფს შრომითი საქმიანობის უნარის სამხარისხოვან შეზღუდვას: 1. პირველი ხარისხი – შრომითი საქმიანობის შესრულების უნარი კვალიფიკაციის დაქვეითების ან სამუშაოს მოცულობის შემცირების პირობებში ან თავისი პროფესიით მუშაობის შეუძლებლობა; 2. მეორე ხარისხი – შრომითი საქმიანობის შესრულების უნარი სპეციალურად შექმნილ პირობებში (სპეციალიზებული საწარმო, საამქრო, უბანი, ბინაზე შრომა) ან ჩვეულებრივ საწარმოო პირობებში სპეციალურად მოწყობილ სამუშაო ადგილზე, დამხმარე საშუალებების გამოყენებით და/ან სხვა პირთა დახმარებით; 3. მესამე ხარისხი – შრომითი საქმიანობის შეუძლებლობა. მამასადამე, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირს შესაძლოა, შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვა, სიმძიმის მიხედვით, სხვადასხვა ხარისხით/გრადაციით ან საერთოდ არ აღენიშნებოდეს. ამდენად, აღნიშნული სტატუსი ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ პირს არ შეუძლია გარკვეული სამუშაოს შესრულება.

28. იმავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „მოსარჩელე უფლებამოსილია, იდავოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევაზე იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმის საფუძველზე, იგი ჩაყენებულია განსხვავებულ, უარეს რეჟიმში არსებითად თანასწორ პირებთან შედარებით. შესაბამისად, კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართება შეიძლება ჰქონდეს ისეთ საკანონმდებლო ნორმას, რომელიც მოსარჩელეს უზღუდავს რაიმეს ან სხვას აღჭურავს მისგან განსხვავებული უფლებით, რის საფუძველზეც, იგი ექცევა უთანასწორო რეჟიმში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის №2/6/1609 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ბუდუ შეყილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). სადავო ნორმის მოქმედებამ შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში, მოსარჩელის პრივილეგიებულ მდგომარეობაში ჩაყენება განაპირობოს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების შეუძლებლობის გამო, მოსამართლეს უწევს პირისათვის უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდება ან მაშინ, როდესაც მოსამართლე პირს ვერ უფარდებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას დამატებითი სასჯელის სახით.

29. მოცემულ შემთხვევაში, რამდენადაც სადავო ნორმა აბსოლუტურად გამორიცხავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, როგორც თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის სახის მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების მიმართ გამოყენების შესაძლებლობას, მათ შორის, მაშინ, როდესაც აღნიშნული განაპირობებს პირისათვის უფრო მძიმე



სასჯელის დანიშვნას თავისუფლების აღკვეთის სახით, ცალსახაა, რომ იგი პირს აყენებს უარეს სამართლებრივ მდგომარეობაში. პირისათვის თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს სასჯელის უმკაცრეს ზომას, ყველაზე მძიმე, სენსიტიურ ჩარევას პირის საკუთარი უნარების/ინტერესების შესაბამისად განვითარების პერსპექტივის შექმნაში. ეჭვგარეშეა, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება, საპატიმრო სასჯელებთან მიმართებით, პირის უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვის კონტექსტში ნაკლებად ინტენსიურია. ასეთ დროს, მსჯავრდებული არ ხვდება საპატიმრო დაწესებულებაში, შესაბამისად, აცილებულია საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებიდან მომდინარე სხვადასხვა ნეგატიური ეფექტი. ამასთანავე, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას, დამნაშავე სასჯელს საზოგადოებისაგან გამოცალკევების გარეშე იხდის, ინარჩუნებს ურთიერთობებს სასურველ პირთა წრესთან: ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, ნათესავებთან და ა. შ., ნაკლებია მის ქცევაზე დაკვირვება და კონტროლი, ისევე როგორც იმ უფლებებით სარგებლობის შეზღუდვის ხარისხი, რომელთა შეზღუდვაც, თავისთავად, თანმდევია თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენებისა. შესაბამისად, ნათელია, რომ სადავო ნორმა მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შუამ პირს უარეს სამართლებრივ რეჟიმში აქცევს იმ შემთხვევაში, როდესაც სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების შეუძლებლობის გამო, მას ძირითადი სასჯელის სახით შეეფარდება უფრო მძიმე სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით.

30. მაგალითად, როგორც №1818 კონსტიტუციური წარდგინების ავტორი მიუთითებს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, სასჯელის სახით, ითვალისწინებს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ან ვადიან თავისუფლების აღკვეთას. ამდენად, მოსამართლე, ფაქტობრივად, იძულებულია, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთა ინდივიდუალური გარემოებები იძლევა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების შესაძლებლობას, სასჯელის სახედ განუსაზღვროს თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნულის საპირისპიროდ, ზომიერად გამოხატული შუამ პირის მიმართ, შესაძლოა, სასჯელის ფორმით, გამოყენებული იქნეს ნაკლებად მძიმე სასჯელი (საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა) ნაცვლად უფრო მკაცრი სასჯელისა (თავისუფლების აღკვეთისა).

31. შესაბამისად, სადავო ნორმა მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შუამ ბრალდებულს/მსჯავრდებულს აყენებს განსხვავებულ, ზომიერად გამოხატული შუამ სტატუსის მქონე ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მიმართებით, უარეს სამართლებრივ მდგომარეობაში. იმავდროულად, სადავო ნორმით გათვალისწინებულ პირთა წრეს, აქვს, ერთი მხრივ, რიგ შემთხვევაში, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების შესაძლებლობა, მეორე მხრივ კი, ზომიერად გამოხატული შუამ პირების თანაბარი ინტერესი, არ მოხვდნენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, რის გამოც, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის საფუძველზე, დადგენილია განსხვავებული მოპყრობა არსებითად თანასწორ სუბიექტებს შორის. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე სწორედ ამ შედეგის გამოწვევის კონტექსტში იმსჯელებს.

4.2. იმ ქალების მიმართ დადგენილი დიფერენცირება, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი

32. №1861 კონსტიტუციურ წარდგინებით, როგორც აღინიშნა, სადავოდ არის გამხდარი გასაჩივრებული რეგულირების საფუძველზე იმ ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი.

33. კერძოდ, №1861 კონსტიტუციური წარდგინებიდან ირკვევა, რომ მცხეთის რაიონულმა პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა საჩივარი მცხეთის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 29 მაისის განაჩენთან დაკავშირებით, რომლითაც პირი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძველიანი შიში) და 126¹ მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ სისტემური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც გამოიწვია ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი) წარდგენილ ბრალდებებში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ საჩივარში მოთხოვნილია პირის მიმართ წარდგენილ ბრალდებებში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. №1861 კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებულია, რომ



ზემოაღნიშნული პირი არის ქალი, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე ასაკის შვილი. შესაბამისად, თუკი სააპელაციო სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი წარდგენილ ბრალდებებში, სასამართლოს, სასჯელის ერთადერთ სახედ, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება რჩება.

34. №1861 კონსტიტუციური წარდგინების ავტორი შესაძარებელ პირებად გამოყოფს, ერთი მხრივ, ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალს, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე ასაკის შვილი, მეორე მხრივ, ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალს შვილის გარეშე ან 7 წელზე მეტი ასაკის შვილით ან/და კაცებს. წარდგინების ავტორის განმარტებით, ზემოაღნიშნული პირები წარმოადგენენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს, თუმცა სადავო ნორმა ქალს, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე ასაკის შვილი, უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე სხვა ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს.

35. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს წარდგინების ავტორის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმა, განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში აყენებს, ერთი მხრივ, ქალებს, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი, ხოლო, მეორე მხრივ, ქალს შვილის გარეშე ან 7 წელზე მეტი ასაკის შვილით ან/და კაცებს. კერძოდ, გასაჩივრებული წესი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, გამორიცხავს სასჯელის კონკრეტული სახის – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენებას 7 წლამდე ასაკის მცირეწლოვნების დედების მიმართ. მაშასადამე, სადავო ნორმა ქმნის დიფერენცირებულ უფლებრივ რეჟიმს ნორმის რეგულირების ქვეშ მოქცეულ და რეგულირების მიღმა აღმოჩენილ სუბიექტებს შორის.

36. იმავდროულად, როგორც აღინიშნა, თანასწორობის უფლების შეზღუდვას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც პირის დიფერენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენება ხდება მისთვის უარესი, არახელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის №2/6/1609 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ბუდუ შეყილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამ თვალსაზრისით, ზოგ შემთხვევაში, ქალებს, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი, აქვთ სამართლებრივი ინტერესი, არ შეიზღუდოს მათ მიმართ სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების შესაძლებლობა. კერძოდ, აღნიშნულს ადგილი შეიძლება ჰქონდეს მაშინ, როდესაც სადავო ნორმის მოქმედების გამო, მოსამართლეს, სასჯელებს შორის ალტერნატივის არარსებობის მიზეზით, უწევს, პირს შეუფარდოს ყველაზე მძიმე სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით. როგორც აღინიშნა, პირისათვის თავისუფლების აღკვეთა სასჯელის უმკაცრეს სახეს წარმოადგენს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა კი საპატიმრო სასჯელებთან მიმართებით, პირის უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვის კონტექსტში, ნაკლებად ინტენსიურია. არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას, დამნაშავე სასჯელს საზოგადოებისაგან გამოცალკევების გარეშე იხდის და ურთიერთობას ინარჩუნებს ოჯახის წევრებთან, მათ შორის, აქვს მცირეწლოვანი შვილების პირადად აღზრდის, მათზე მეთვალყურეობის შესაძლებლობა. შესაბამისად, სადავო ნორმა 7 წლამდე ასაკის ბავშვების დედებს უარეს სამართლებრივ რეჟიმში აქცევს იმ შემთხვევაში, როდესაც, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების შეუძლებლობის გამო, მათ ძირითადი სასჯელის სახით შეეფარდებათ უფრო მძიმე სასჯელი, თავისუფლების აღკვეთის სახით.

37. შესაბამისად, ამ კონტექსტშიც, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა 7 წლამდე ასაკის დედებს აყენებს განსხვავებულ, არსებითად თანასწორ პირებთან მიმართებით, უარეს სამართლებრივ მდგომარეობაში, რის გამოც სახეზეა თანასწორობის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა.

5. სადავო ნორმის საფუძველზე დადგენილი დიფერენცირების კონსტიტუციურობის შემოწმება

5.1. შეფასების ტესტი

38. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უფლება არ არის აბსოლუტური და დემოკრატიულ სახელმწიფოში შესაძლებელია მისი შეზღუდვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა, თავისთავად, დისკრიმინაციას არ ნიშნავს. ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისად მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, შესაძლოა, დიფერენცირებული მოპყრობა საჭირო და გარდაუვალიც იყოს. ეს ხშირად აუცდენელია. შესაბამისად, დიფერენცირება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროსთვის უცხო არ არის, თუმცა თითოეული მათგანი არ უნდა იყოს დაუსაბუთებელი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს



2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

39. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

40. იმავდროულად, ცხადია, რომ დიფერენცირების არსებობის ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში, მისი დისკრიმინაციულობის მასშტაბი იდენტური არ არის და დამოკიდებულია უთანასწორო მოპყრობის თავისებურებებზე. „ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას ... სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა. ზოგჯერ შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „სადავო ნორმების შეფასებისას სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების ან შეფასების მკაცრ ტესტს. საკითხი, თუ რომელი მათგანით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ, წყდება სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის, ჩარევის ინტენსივობისა და დიფერენცირების ნიშნის გათვალისწინებით. კერძოდ, თუ არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირების საფუძველია კონსტიტუციის მე-11 მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ნიშანი ან სადავო ნორმა ითვალისწინებს უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას - სასამართლო გამოიყენებს შეფასების მკაცრ ტესტს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №2/4/603 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-8).

41. ამდენად, მიუხედავად იმისა, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შერჩეულ უნდა იქნეს რაციონალური დიფერენცირებისა თუ მკაცრი შეფასების ტესტი, ორივე მათგანის ფარგლებში აუცილებელია, რომ სადავო ნორმით განსაზღვრულ შეზღუდვას გააჩნდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი და შერჩეული საკანონმდებლო საშუალება იყოს დასახელებულ მიზანთან რაციონალურ და გონივრულ კავშირში. დიფერენცირებული მოპყრობის გამომწვევი ღონისძიება, რომელიც დასახელებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ჩაითვლება თვითმიზნურად და დისკრიმინაციულად.

5.2. ლეგიტიმური მიზანი და რაციონალური კავშირი

42. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად შეესაბამება თანასწორობის უფლების კონსტიტუციურ მოთხოვნას, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების აკრძალვა, ერთი მხრივ, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შუშ პირებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ქალებისათვის, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი.

43. ამ მიზნით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თითოეულ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, განსაზღვრავს სადავო ნორმის რაციონალს, იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომლის დაცვის უზრუნველყოფასაც სადავო ნორმა ისახავს მიზნად, ამის შემდგომ კი შეაფასებს, არის თუ არა სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირებული მოპყრობა გონივრულ და რაციონალურ კავშირში სადავო ნორმით დასახულ ლეგიტიმურ მიზანთან/მიზნებთან მიმართებით.



5.2.1. მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების მიმართ დადგენილი დიფერენცირებული მოპყრობის გამართლება

44. სადავო ნორმა, სისტემურად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილშია მოთავსებული და ასახავს სახელმწიფოს მიდგომას, სასჯელის დანიშვნის ჭრილში, პირთა გარკვეული ჯგუფის მიმართ. კერძოდ, სადავო ნორმა მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებთან ერთად, სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდებისაგან გამორიცხავს, ასევე, ორსულ ქალს, იმ ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე ასაკის შვილი და საპენსიო ასაკს მიღწეულ პირს. აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მოქმედ სისხლისსამართლებრივ წესრიგში, არა მარტო სასჯელის შეფარდების, არამედ მისი აღსრულების სფეროშიც, კანონმდებელი ხშირად იყენებს სადავო ნორმის ადრესატებისადმი განსხვავებულ, პრივილეგირებულ მოპყრობას. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის მოხდის გადავადების შესაძლებლობას ორსული ქალისთვის, მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე. ამდენად, ორსულობა და მასთან დაკავშირებული ფიზიკური მდგომარეობა, მოცემულ შემთხვევაშიც, მიჩნეულია სასჯელის მოხდასთან შეუთავსებელ მდგომარეობად. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ამავე 74-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომლის თანახმადაც, სასამართლო უფლებამოსილია, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს მსჯავრდებული, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა სასჯელის მოხდასთან და, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, შესაძლოა, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლდეს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, თუ მას აქვს დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია, ამასთანავე, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია. დამატებით, სასამართლო უფლებამოსილია, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან), თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი. ყოველივე აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ჯანმრთელობის ან სხვაგვარი ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფოს, გარკვეული კატეგორიის პირების მიმართ, განსაზღვრული აქვს შეღავათიანი, ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკა.

45. სადავო ნორმა მოქმედებს სწორედ ზემოაღნიშნულ წესრიგში. ამ თვალსაზრისით, მისი მიზანმიმართულება იმაში მდგომარეობს, რომ მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებს, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, არ დაეკისროთ შრომითი სამუშაოს შესრულება და ამით თავიდან იქნეს არიდებული მათზე ნეგატიური ზემოქმედება. მაშასადამე, იმდენად, რამდენადაც შესაძლებლობის შეზღუდვა არის ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევის მქონე პირისათვის პიროვნული განვითარებისა და თვითრეალიზების სხვებთან თანაბარი შესაძლებლობის არქონა, განპირობებული ფიზიკური გარემოს, საზოგადოების დამოკიდებულებისა და სხვა ფაქტორების ერთობლიობით, სადავო ნორმის მიზანია, აღნიშნული სტატუსის მატარებელი პირების სამართლებრივი/სოციალური დაცვა, მათი ფიზიკური და მორალური კეთილდღეობის შენარჩუნება, რაც შესაძლოა, დააზიანოს შრომითი საქმიანობის შესრულების პირობებში ფიზიკურ გარემოსთან თუ სხვა ფაქტორებთან პირის ურთიერთქმედება.

46. ბუნებრივია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ზოგადად, იზიარებს შშმ პირების განსაკუთრებული საჭიროებების აღიარებისა და ამ მიმართულებით, სახელმწიფოს მთელი რიგი ვალდებულებების არსებობის მნიშვნელოვან კონსტიტუციურ ღირებულებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვა, კონსტიტუციის ღირებულებათა სისტემაში წარმოადგენს ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №2/5/1545 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ“, II-5). ამ კონტექსტში, დისკრიმინაციისგან შშმ პირთა ეფექტიანი დაცვა ფართო პერსპექტივის ვალდებულებაა და სახელმწიფოს ამ პირთა დაცვის პოზიტიურ პასუხისმგებლობას აკისრებს. აღნიშნული ვალდებულება განმტკიცებულია კონსტიტუციურ დონეზე, სპეციფიკურად შშმ პირებისათვის დადგენილი ჩანაწერით, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ხსენებული „კონსტიტუციური დებულება ადგენს



სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს აუცილებელი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებები და ამგვარად უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის №1/6/1426 განჩინება საქმეზე „გურამ აბულაძე და მიქაელ აბულაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-25). იმავდროულად, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულება აკვალიფიცირებს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლების მოქმედებას სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშეწყობისკენ მიმართულ, მათი სპეციალური საჭიროებებით ნაკარნახევ ღონისძიებებთან მიმართებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №12/6/1450 განჩინება საქმეზე „დავით ძამუკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16).

47. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობა და მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების დაცვაზე ზოგადი აპელირება ვერ იქნება თვითკმარი, თავისთავადი არგუმენტი თანასწორობის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის გამართლებისათვის. დამატებით, აუცილებელია რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). ამ მხრივ, უნდა განისაზღვროს, რამდენად უზრუნველყოფს სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რეალურ დაცვას. სადავო რეგულირება გონივრული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღწევს მიზანს (ან მიზნებს), რომლისთვისაც იგი შემუშავდა.

48. პირველ რიგში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ დისკრიმინაციას მრავალი სახე აქვს და უთანასწორო მოპყრობა, ჩაგვრა სხვადასხვა ფორმებში ვლინდება. შშმ პირების დისკრიმინაცია გულისხმობს არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა, არამედ იმგვარი განსხვავებაც, რომელიც შედეგად აღნიშნულს განაპირობებს. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს, რა შედეგს განაპირობებს, ერთი შეხედვით, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების დაცვის მიზნით მიღებული საკანონმდებლო დებულება.

49. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, კრიმინოგენური სიტუაციის კონტროლისა და დანაშაულის პრევენციის სათანადო მექანიზმების შემოღება საქართველოს პარლამენტის ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, მძლავრ და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სახელმწიფოს ხელში წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლა და ამ გზით საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების, სხვა ლეგიტიმური კონსტიტუციური მიზნების დაცვა და, შედეგად, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დარღვევის პრევენცია. მაშასადამე, სახელმწიფოს პოლიტიკის სფეროა, რომელიც ქმედების კრიმინალიზაციას მოახდენს და როგორც სასჯელს დააწესებს კონკრეტული ქმედების ჩადენისთვის, რადგან სწორედ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ეფექტიანი შესაძლებლობა, ებრძოდოს კონკრეტული ქმედებებიდან მომდინარე საფრთხეებს და მათი სიმძიმის, სერიოზულობის გათვალისწინებით მოახდინოს მათი კრიმინალიზება, ამასთანავე, შეარჩიოს პასუხისმგებლობის ის ზომა, რომელიც საკმარისი და ეფექტური იქნება ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებთან ბრძოლის თვალსაზრისით (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32,33). სასამართლო ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომლის ფუნქციაც, საერთო სასამართლოების შემთხვევაში – მართლმსაჯულების, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაა, პარლამენტი კანონშემოქმედების პროცესში, მისი საქმიანობის შინაარსისა და მინიჭებული ბერკეტების გათვალისწინებით, უკეთეს პოზიციაში იმყოფება, ობიექტურად შეაფასოს ქმედების სოციალური საშიშროების პოტენციური და განსაზღვროს მასთან ბრძოლის შესაძლო ეფექტიანი გზები. იმავდროულად, ბუნებრივია, სასჯელის პოლიტიკის განსაზღვრის მინიჭებულ უფლებამოსილებას თან ახლავს კონსტიტუციური ვალდებულება, აღნიშნული პოლიტიკის განსაზღვრა მოხდეს დისკრიმინაციის გარეშე, შშმ პირების უფლებების/ინტერესების გათვალისწინებით. სასჯელის კონკრეტული სახეების



50. როგორც აღინიშნა, სადავო ნორმა ბლანკეტურად გამორიცხავს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების მიმართ, სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდებას და, შედეგად, ართმევს მათ შესაძლებლობას, განესაზღვროთ თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით, უფრო მსუბუქი სასჯელის სახე. სისხლის სამართლის კერძო ნაწილში მრავლადაა ნორმები, რომლებიც ძირითადი სასჯელის სახით, ითვალისწინებს მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას და თავისუფლების აღკვეთას (იხ., მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლი, 150¹ მუხლი და სხვა). გარდა ამისა, არსებობს ისეთი დანაშაულებიც, რომლებიც, სასჯელის სახით, ადგენს ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასა და თავისუფლების აღკვეთას, თუმცა ასეთ შემთხვევებშიც კი, შესაძლოა, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ ბრალდებულს ერთადერთ სასჯელად თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს. მაგალითად, სისტემურად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც, ჯარიმა ძირითად სასჯელად არ შეიძლება დაინიშნოს ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირის მიმართ, იმგვარი ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას და თავისუფლების აღკვეთას (მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილი) მოსამართლეს ერთადერთ ალტერნატივად სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება რჩება. ამდენად, მიუხედავად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული პენოლოგიური მრავალფეროვნებისა, რაც თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გვერდით, სასჯელის ალტერნატიული სახეების განსაზღვრას (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა) ითვალისწინებს, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, მოსამართლეს, სადავო ნორმის გათვალისწინებით, ზოგ შემთხვევაში, მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესაძლებლობა გააჩნია. ამგვარი შეზღუდვა მოსამართლეს არ გააჩნია ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით სასჯელის შეფარდების თვალსაზრისით.

51. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სასამართლოს ვალდებულებაა პროპორციული სასჯელის დაკისრება მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი (კონკრეტული დაზარალებულისთვის თუ საზოგადოებისთვის), დამნაშავის პერსონალური მახასიათებლები და საქმის ფაქტობრივი გარემოებები იმისათვის, რათა განისაზღვროს სასჯელის სათანადო სახე და ზომა, რომელიც უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას. ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების საქმის განხილვისას, მოსამართლე შესაძლოა, მივიდეს დასკვნამდე, რომ ბრალდებულის პიროვნებასთან, მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ფიზიკურ უნარებთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებით, პირისათვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდებაც აღწევს სასჯელის მიზნებს, უზრუნველყოფს კორექტული და კონფორმული ქცევის ხელშეწყობას/გამლიერებას. კერძოდ, სასამართლომ შესაძლოა დაასკვნას, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ბრალდებულის პიროვნების, შემამსუბუქებელი გარემოების გათვალისწინებით, სასჯელის ზოგადი და სპეციალური პრევენციული მიზნების მიღწევა, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, მის მიერ დანაშაულის უარყოფითი შედეგების გააზრება, თანასწორობასა და შემწყნარებლობაზე დაფუძნებული ღირებულებების გათავისება და მსხვერპლთათვის სამართლიანობის განცდის უზრუნველყოფა შესაძლებელია საზოგადოებისაგან პირის იზოლაციის გარეშე და სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებაც უნარიანია, უზრუნველყოს სასჯელის მიზნების განხორციელება. თავის მხრივ, სადავო ნორმა, ართმევს მოსამართლეს შესაძლებლობას, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების მიმართ გამოიყენოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც სასჯელი და ამით აღნიშნული პირები აარიდოს უფრო მკაცრ სასჯელს, განსხვავებით, ზომიერად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებისაგან, რომელთა მიმართებითაც, მოსამართლეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების უფლებამოსილება გააჩნია.

52. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ შესაძლებლობის შეზღუდვა შშმ პირებში წარმოდგენილია ფართო სახესხვაობით და ფრაგმენტაციით. დაავადების სიმპტომატიკა პირს სხვადასხვა ხარისხით ართმევს უნარს, შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო. იმავდროულად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კანონისმიერი გაგება ავტომატურად არ მიანიშნებს ამ სასჯელის მხოლოდ ფიზიკური შრომის ფორმით მოხდის შესაძლებლობაზე. კერძოდ, როგორც



აღნიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო. ცხადია, ამ კონტექსტში შესაძლებელია, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა აღქმულ იქნეს ისეთ სასჯელად, რომელიც *a priori* არ გულისხმობს ფიზიკურ აქტივობებს და მოიაზრებს გონებრივ სამუშაოებს, შემოქმედებით საქმიანობას. შესაბამისად, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო უფლებამოსილია, შრომისუნარიანი მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისათვის მოიძიოს/შექმნას იმგვარი სამუშაო ადგილები, რომლებიც არ მოითხოვს ფიზიკურ შრომას ან/და რომლებიც თავსებადია მათ უნარებთან და შესაძლებლობებთან. იმავდროულად, თუნდაც ფიზიკური შრომის კონტექსტში, ცხადია, შესაძლოა არსებობდეს, სასჯელის სახით შეფარდებული, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კონკრეტული სახე, რომლის შესრულებაც შეუძლია კონკრეტულ, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს. მაშასადამე, კანონმდებელი ღიად ტოვებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ცალკეული სახეების იდენტიფიცირების საკითხს, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახის განსაზღვრაზე პასუხისმგებელ ორგანოს უტოვებს შესაძლებლობას, სამუშაო ადგილი შეარჩიოს მსჯავრდებული პიროვნების ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შშმ პირის სტატუსთან თავსებადი დიზაინით.

53. დამატებით, ამგვარი მსჯელობის მართებულობა დასტურდება, ასევე, კანონმდებლის მიდგომიდანაც. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია, მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, სასჯელის მოხდის დროს, მისივე თანხმობით, შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ კოდექსის 44-ე მუხლის (გარდა პირველი და მე-2 ნაწილებისა) მოთხოვნები“. მაშასადამე, ხსენებული ნორმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას, მათ შორის, წარდგინების ავტორთა მიერ იდენტიფიცირებულ პირთა წრეს, სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეუცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. მაშასადამე, კანონმდებელიც შესაძლებლად მიიჩნევს პირთა ზემოაღნიშნული წრის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით განსაზღვრული სასჯელის მოხდას.

54. ამდენად, სადავო ნორმა პრაქტიკაში კონტრპროდუქტიულია. ერთი შეხედვით, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების დაცვის მიზნით მიღებული წესი, საპირისპირო, მათთვის საუარესო შედეგს აყენებს. სადავო ნორმა მოსამართლეს ართმევს შესაძლებლობას, საპატიმრო სასჯელის ნაცვლად, ხსენებულ პირთა მიმართ გამოიყენოს არასაპატიმრო სასჯელი, მაშინ, როდესაც მოსამართლე მიდის დასკვნამდე, რომ არასაპატიმრო სასჯელი ადეკვატური, თანაზომიერი და პროპორციულია განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისა. მსგავსი სამართლებრივი ბოჭკვა მოსამართლეს არ გააჩნია ზომიერად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებით.

55. მაშასადამე, სადავო ნორმა, წარდგინების ავტორის მიერ იდენტიფიცირებულ შემთხვევაში, მეტად კეთილმოსურნე მოპყრობის მიზნის საწინააღმდეგო შინაარსს იძენს და ნაკლებად კეთილმოსურნე, დამჩაგვრელ ეფექტს განაპირობებს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისათვის. აღნიშნულის გამო, სადავო ნორმა ვერ მართლდება მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირთა დაცვის, მათზე ზრუნვის ან მათი საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფის ჰიპოთეტური მოტივით. შესაბამისად, სხვადასხვა სტატუსის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის დიფერენცირებას არ გააჩნია რაციონალური კავშირი მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების დაცვის მიზნის რეალურად მიღწევასთან, არ ექვემდებარება რაციონალიზაციას, ახსნას, გამართლებას.

56. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს საამისოდ შრომისუნარიანი მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნას, იმ პირობებში, როდესაც ალტერნატიულ შესაძლო სასჯელს წარმოადგენს მხოლოდ



5.2.2. იმ ქალების მიმართ დადგენილი დიფერენცირებული მოპყრობის გამართლება, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი

57. როგორც აღინიშნა, სადავო ნორმა, აგრეთვე ადგენს დიფერენცირებულ მოპყრობას იმ ქალების მიმართ, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი. კერძოდ, გასაჩივრებული რეგულირება ბლანკეტურად გამორიცხავს 7 წლამდე ასაკის დედებისათვის, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდებას. აღნიშნული, როგორც დადგინდა, ზოგ შემთხვევაში, ამგვარ ქალებს უალტერნატივოდ ტოვებს თავისუფლების აღკვეთის სასჯელის შეფარდების წინაშე.

58. მოცემულ შემთხვევაშიც, სადავო ნორმა, ერთი შეხედვით, ნორმის რეგულირების ქვეშ მოქცეული პირებისათვის უკეთესი სამართლებრივი რეჟიმის შექმნას ისახავს მიზნად. კერძოდ, სადავო რეგულირების მიზანმიმართულება იმაში მდგომარეობს, რომ ქალებს, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი, არ დაეკისროთ, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულება და ამით, არ მოხდეს მათი შვილებთან განშორება, მათზე ზრუნვის პროცესში მონაწილეობის შეფერხება. ზემოაღნიშნული შეზღუდვა მიმართულია ბავშვის ნორმალური განვითარების უზრუნველყოფისაკენ, რომლის ერთ-ერთი წინაპირობა, დედის უშუალო მზრუნველობით, მეთვალყურეობით შვილის აღზრდაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „არასრულწლოვანი პირების ზედამხედველობისა და აღზრდის კონტექსტში უაღრესად მნიშვნელოვანია მშობლების როლი. როგორც წესი, არასრულწლოვანი პირები თავისთავად არ ფლობენ საკუთარი თავის მოვლის სათანადო უნარებსა და შესაძლებლობებს. ისინი ექვემდებარებიან მშობლების მიერ ზედამხედველობას და მზრუნველობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-9). შესაბამისად, სადავო ნორმა მცირეწლოვნების განსაკუთრებული საჭიროების, მათზე ზრუნვის მოტივით, კრძალავს დედების მიმართ, სასჯელის სახით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდებას.

59. აღნიშნული მიზანი ვერ იქნება რეალიზებული, თუ სადავო ნორმის მოქმედების პირობებში, მოსამართლეს უწევს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით, სასჯელზე უარის თქმის გამო, უფრო მძიმე სასჯელის გამოყენება, რომელიც მეტად უარყოფით გავლენას ახდენს მცირეწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე.

60. როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს დანაშაულები, რომელთა შემთხვევაშიც, პირის დამნაშავედ ცნობისას, სადავო ნორმის საფუძველზე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების შეუძლებლობის გამო, მოსამართლეს უწევს, პირს შეუფარდოს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა (იხ., მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლი, ასევე 381¹ მუხლის პირველი ნაწილი და სხვ.). იმავდროულად, როგორც უკვე აღინიშნა, თავისუფლების აღკვეთა დაკავშირებულია ადამიანის თავისუფლების კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვასთან. იგი ინდივიდის ფიზიკურ თავისუფლებაში ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის მზღუდავი ღონისძიების სიმკაცრიდან გამომდინარე, მაქსიმალურად დასაბუთებული უნდა იყოს, მისი გამოყენების აუცილებლობა, პროპორციულობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, ადამიანის ფიზიკური თავისუფლება იმდენად წონადი კონსტიტუციური უფლებაა, რომ მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან, განხილულ უნდა იქნეს როგორც შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მიღწევის *ultima ratio* საშუალება (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).

61. განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, ნორმის რეგულირების მიღმა დარჩენილი პირებისაგან განსხვავებით, იმ ქალებთან მიმართებით, რომელთაც ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი, რიგი დანაშაულების შემთხვევაში, სადავო ნორმის საფუძველზე, სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შეუძლებლობის გამო, მოსამართლეს ერთადერთ ალტერნატივად რჩება, პირისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. იმავდროულად, პირის საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსება, გამორიცხავს შესაძლებლობას, ჰქონდეს მუდმივი, ჯეროვანი კომუნიკაცია ოჯახის სხვა წევრებთან და, ზოგადად, გარესამყაროსთან, მათ შორის, მცირეწლოვან შვილთან.



საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ოჯახური ცხოვრების უფლება განეკუთვნება იმ ძირითად უფლებათა კატეგორიას, რომელთა დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტი განსხვავებულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირების მიმართ. მსჯავრდებულს აქვს *prima facie* უფლება, დაამყაროს და შეინარჩუნოს ოჯახური ურთიერთობები, კავშირი ჰქონდეს საკუთარი ოჯახის წევრებთან პირადად თუ კომუნიკაციის დისტანციური საშუალებებით. ამავდროულად, ოჯახის წევრებთან კავშირს ვერ ექნება მუდმივი, უწყვეტი ხასიათი, ისევე, როგორც კომუნიკაციის პროცესი ვერ დაექვემდებარება პრივატულობის ისეთ ხარისხს, როგორც ეს შესაძლებელია იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც არ არიან მოთავსებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/1/704 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14).

62. იმავდროულად, როგორც აღინიშნა, სწორედ მშობელს აკისრია საკუთარ შვილზე ზრუნვის მორალური და კანონისმიერი მოვალეობა, სწორედ ის არის ვალდებული, აღზარდოს შვილები, იზრუნოს მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდოს ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს. ამ თვალსაზრისით, შეუცვლელია დედის როლი ბავშვის ცხოვრებაში, რის გამოც კონსტიტუცია დედებს განსაკუთრებული დაცვის გარანტიებს ანიჭებს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, განცალკევებული და განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა დაეთმოს სადავო ნორმით გათვალისწინებულ ბავშვის ასაკს. სწორედ ამ ადრეულ ეტაპზე ეყრება საფუძველი ბავშვის პიროვნულ ჩამოყალიბებას, რა დროსაც დედასთან სიახლოვე მნიშვნელოვანია ბავშვის, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდის ცხოვრების ფორმირებაზე. მაშასადამე, მშობლის საპატიმრო სასჯელი, მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდასთან მიმართებით, მეტად უქმნის საფრთხეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციის ქმედითობას და ბავშვის შესაძლებლობას, ჰქონდეს ოჯახური გარემოს ჰარმონიული აღქმისა და აღზრდა-განვითარებისათვის ყველა პირობა. ამდენად, ამ თვალსაზრისით, სადავო ნორმა, რომელიც იდეურად, მცირეწლოვნების დაცვის მიზნით არის მიღებული, პირიქით, აუარესებს მათ მდგომარეობას და იწვევს მცირეწლოვნების დედისაგან იზოლირებას.

63. მაშასადამე, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლე მიიჩნევს, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არ არის ობიექტურად აუცილებელი პიროვნებიდან მომდინარე საფრთხეების განეიტრალებისა და სასჯელის მიზნების მიღწევისათვის, მას არ რჩება სხვა ალტერნატივა, გარდა საზოგადოებისგან პირის იზოლირებისა და მისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისა. ამგვარი ბოჭვა მოსამართლეს არ გააჩნია იმ პირების საქმეთა განხილვისას, რომელთაც არ ჰყავთ 7 წლამდე ასაკის შვილი. ზემოაღნიშნული სასჯელის სახეების შინაარსობრივი ურთიერთშედარების პრიზმაში, უდავოა, რომ თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს სასჯელის უმკაცრეს ფორმას. ამდენად, სადავო ნორმა ხდება გადაწყვეტილების მსჯავრდებულის საუარესოდ მიღების წყარო, ფაქტობრივად, სასჯელის დამძიმების წინაპირობა, რაც უფრო ნეგატიურ გავლენას ახდენს შვილისა და მშობლის ურთიერთობაზე, დედის მეთვალყურეობით, მზრუნველობით ბავშვის აღზრდაზე.

64. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმას არ გააჩნია რაციონალური კავშირი იმ მიზანთან, რომლის უზრუნველყოფისთვისაც ის არის მიღებული. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც იმ ქალის მიმართ, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე შვილი, გამორიცხავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნას, იმ პირობებში, როდესაც ალტერნატიულ შესაძლო სასჯელს წარმოადგენს პირის მიმართ მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს.

III სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის,



„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 27³ მუხლის მე-2 პუნქტის, 42-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის, 44-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ა დ გ ე ნ ს:

1. არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც იმ ქალის მიმართ, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე შვილი, აგრეთვე საამისოდ შრომისუნარიანი მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, გამორიცხავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნას, იმ პირობებში, როდესაც ალტერნატიულ შესაძლო სასჯელს წარმოადგენს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის არაკონსტიტუციური ნორმატიული შინაარსი ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
3. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

პლენუმის შემადგენლობა:

რევაზ ნადარაია

ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

ირინე იმერლიშვილი

გიორგი კვერენჩილაძე

მანანა კობახიძე

ვასილ როინიშვილი

თეიმურაზ ტულუში

